



გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №30

2021 წლის 12 თებერვალი
ქალაქი გორი

ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნეს“ (ს/კ 417873849) 2020 წელს
გაწეული საქმიანობის ანგარიშის შეფასების შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომპეტენციას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის კერძო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ გაწეული საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება. აღნიშნული ანგარიშის მოსმენა გაწერილია საკრებულოს 2020 წლის სამუშაო გეგმაში. საკრებულოს სამუშაო გეგმის შესაბამისად საჭიროა მოსმენილ იქნას და შეფასდეს ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნეს“ (ს/კ 417873849) 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად:

1. დადებითად შეფასდეს ა(ა) იპ „გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნეს“ (ს/კ 417873849) 2020 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში თანდართული №1 დანართის თანახმად (თან ერთვის).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, სერგო ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით რაზმაძე

2

25 იანვარი 2021 წ.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ დავით რაზმაძეს

თქვენი წერილის - 21-21210114 თანახმად, წარმოგიდგენთ ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ 2020 წელს შესრულებული საქმიანობის ანგარიშს.

2020 წელს, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთი „გორის მაცნე“, პანდემიის და დადგენილი შეზღუდვების მიუხედავად, ფუნქციონირებდა სრული დატვირთვით. მთავრობის შესაბამისი რეკომენდაციების გათვალისწინებით, თანამშრომლების უმრავლესობა მოვალეობას ასრულებდა დისტანციურად, თუმცა, ყველა მათგანი, ტექნიკურად და სხვა საშუალებებით, უზრუნველყოფილი იყო, რომ შეუფერხებლად განეხორციელებინა მასზე დაკისრებული მოვალეობა, შესაბამისად, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ დაქვემდებარებაში არსებული გაზეთი „გორის მაცნე“ გამოდიოდა შეუფერხებლად, ასევე, სრული დატვირთვით მუშაობდა „გორის მაცნე“-ს ელექტრონული საინფორმაციო პორტალი GMnews - ი, რომლის მეშვეობითაც, პანდემიასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან დეტალებსა თუ საზოგადოებისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე ელექტრონულ აუდიტორიას სრულყოფილად მიეწოდებოდა ობიექტური ინფორმაცია.

რაც შეეხება მოსწავლე-ახალგაზრდობის საგანმანათლებლო-შემოქმედებით ჟურნალ „აი ია“-ს, რომელიც საკმაო პოპულარობით სარგებლობს (გორის მუნიციპალიტეტის ყველა მოზარდისთვის ხელმისაწვდომობის მიზნით 2020 წელს მიღებული გადაწყვეტილებით უფასო გახდა), მისი გამოცემა შეფერხდა, ვინაიდან პანდემიის მწვავე ფაზების პერიოდში, მაშინ, როდესაც შეჩერდა სკოლების და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების ფუნქციონირება, მოსწავლე-ახალგაზრდობასთან კონტაქტი და ჟურნალისთვის საინტერესო მასალების მომზადება გართულდა.

რაც შეეხება ხარჯთაღრიცხვას, 2020 წელს დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით, ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ პროგრამების შესრულების მიზნით, გამოყოფილია 72 000 ლარი, რაც საანგარიშო წლის განმავლობაში, კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გადანაწილდა: 9 საშტატო ერთეულის შრომის ანაზღაურებაზე, 2 შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურებაზე, გაზეთისა და ჟურნალის ბეჭდვაზე, ოფისისა და კავშირგაბმულობის ხარჯებზე.

რაც შეეხება ჟურნალ „აი ია“-ს გამოცემის შეფერხებას, აღნიშნული გამოცემისთვის გათვალისწინებული ფინანსები დარჩა ასათვისებელი და შესაბამისად, დაუბრუნდა ბიუჯეტს.

2020 წლის განმავლობაში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ თანამშრომელთა რაოდენობა არ შეცვლილა (9 საშტატო ერთეული, 2 შტატგარეშე).

საანგარიშო პერიოდში, 2020 წლის განმავლობაში, ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნე“-ს არცერთ თანამშრომელზე არ გაცემულა პრემია ან დანამატი.

ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“

დირექტორი ი. თინიკაშვილი **lamze**
Tinikashvili

Подписано цифровой
подписью: lamze Tinikashvili
Дата: 2021.01.26 10:02:36
+04'00'